UDC 327:321.01
SCOPUS CODE 3320
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-2-452-462

კაცობრიობა „ახალი მიუნხენის“ მოლოდინში და მომავალი მსოფლიო წესრიგის პარადიგმები

კარლო კოპალიანი სოციალური მეცნიერებების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: karlo.kopaliani@yahoo.com

ზურაბ კვეტენაძე პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: kvetenadzezurabi07@gtu.ge

რეცენზენტები:

ე. გვენეტაძე, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, ისტორიის დოქტორი
E-mail: gvenetadzeedisheri07@gtu.ge

ლ. ოსიძე, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
E-mail: osidzelevani07@gtu.ge

ანოტაცია. მსოფლიოში დღეს მიმდინარე ურთულესი პროცესები აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ პოლიტიკის კანონები უცვლელია და პატარა ქვეყნები კი კვლავაც იძულებულია ანგარიში გაუწიოს ძლიერი ძალის ცენტრებს ან საერთოდ დაემორჩილოს მათ გადაწყვეტილებებს. შეცვლილია მხოლოდ ფორმები და ტაქტიკა. ამაზე მეტყველებს მდიდარი ისტორიული წარსულიც. 1938 წლის 28-30 სექტემბერს გერმანიის ქალაქ მიუნხენში შედგა გარიგება, რომლის თანახმადაც ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქი ნაცისტურ გერმანიას გადაეცა. ამ შეხვედრას ჰიტლერისა და მუსოლინის გარდა ესწრებოდნენ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ნევილ ჩემბერლენი (მიუნხენის გარიგების ინიციატორი) და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ედუარდ დალადიე. ეს იყო ე.წ. „დაყვავების პოლიტიკა“ გერმანიის მიმართ, რომელიც სრული კრახით დასრულდა და მეორე მსოფლიო ომი გაჩაღდა. ამ პოლიტიკას იმთავითვე გაემიჯნა შემდგომში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი.

ქალაქი მიუნხენი არაერთხელ გამხდარა დიდი პოლიტიკის ეპიცენტრი. 2007 წლის 10 თებერვალს მიუნხენში ცნობილი სიტყვა წარმოთქვა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადმიერ პუტინმა, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა ერთპოლარული მსოფლიოს არსებობა აშშ-ის ჰეგემონობით. მაშინ ეს გამოსვლა სათანადოდ არ შეფასდა, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა, რომლის დაგვირგვინებაცაა ომი უკრაინაში. ამ ომის დასასრული, ჩვენი აზრით, იქნება ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება, რომლის კონტურებიც დღეს გამოკვეთილია. ვფიქრობთ ეს იქნება მრავალპოლარული მსოფლიო, მაგრამ ამავდროულად ამგვარ რეალობას „ახალი მიუნხენის“ გარიგებით მივიღებთ.

საკვანძო სიტყვები: გარიგება; დომინირება; ერთპოლარული; იდეები; კაციობრიობა; მორალი; საერთაშორისო პოლიტიკა; ჰეგემონი.

შესავალი

გერმანიის ქალაქი მიუნხენი მსოფლიო ისტორიული მოვლენების ეპიცენტრი არაერთხელ გამხდარა, სადაც მიღებულმა გადაწყვეტილებებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა კაცობრიობის ბედი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია 1938 წლის 28-30 სექტემბერის მიუნხენის გარიგება, სადაც დიდი ბრიტანეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ნევილ ჩემბერლენმა, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ედუარდ დალადიემ, იტალიის პრემიერ-მინისტრმა ბენიტო მუსოლინიმ და ნაცისტური გერმანიის რაიხსკანცლერმა და რაიხსფიურერმა ადოლფ ჰიტლერმა შეთანხმების საფუძველზე მიიღეს გადაწყვეტილება ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქი გერმანიისათვის გადაეცათ ისე, რომ ჩეხოსლოვაკიის დელეგაციამ ამის შესახებ არაფერი იცოდა. ამას მოჰყვა გერმანიის ამბიციების კიდევ უფრო გაძლიერება და შემდეგ მეორე მსოფლიო ომი. ომის დაწყების წინ სწორედ მიუნხენში ხვდებოდნენ ერთმანეთს დასავლეთისა და გერმანიის, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ლიდერები, რომლებიც ცდილობდნენ გავლენის სფეროები გადაენაწილებინათ, მაგრამ საბოლოო შედეგამდე მაინც ვერ მივიდნენ. „ცივი ომის“ პერიოდში თითქოს ბევრი არაფერი ხდებოდა ამ ქალაქში, მაგრამ სამაგიეროდ „ახალი ცივი ომი“ სწორედ მიუნხენში დაიწყო, როცა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თავისი ისტორიული სიტყვა წარმოთქვა, მკაცრად გააკრიტიკა ერთპოლარული მსოფლიოს არსებობა აშშ-ის მეთაურობით და მსოფლიოს ახალი წესრიგის კონტურებიც გამოიკვეთა. ამჟამად თანამედროვე ეტაპზე მიუნხენში ყოველწლიურად იმართება უსაფრთხოების კონფერენციები, მაგრამ ვფიქრობთ „მთავარი მიუნხენი“ მაინც წინ არის, სადაც ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება მოხდება.

ძირითადი ნაწილი

მარტივი ჭეშმარიტებაა თითქოს აღნიშნო, რომ დიდი სახელმწიფოები განსაზღვრავს მსოფლიო პოლიტიკას, ხოლო პატარები იძულებულია სუპერძალების მიერ შეთავაზებული დღის წესრიგი მიიღოს. პოლიტიკური რეალიზმის ეს უმთავრესი პარადიგმა მართლაც დღემდე შეურყეველია, მაგრამ ერთი რამ აშკარაა, პატარა ქვეყნებიდან, რომელთაც უკეთ აქვთ გააზრებული საერთაშორისო პოლი-

ტიკის თამაშის წესები, ანგარიშს უწევენ შექმნილ რეალობას, მოქნილად ლავირებენ დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების დროს, ნაკლებ დანაკარგს იღებენ და სიტუაციიდან ღირსეულად და თავიანთი ქვეყნის ინტერესების დაცვით გამოდიან. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ამის გაცილებით მეტი შესაძლებლობაა, რადგან ასე თუ ისე არსებობს საერთაშორისო სამართალი, გლობალური აქტორები შეთანხმებულნი არიან თამაშის წესებზე და საერთაშორისო არენის საშუალო და მცირე სუბიექტებს მოქმედებისა და არჩევანის მეტი შესაძლებლობა ეძლევათ. თუ ამა თუ იმ სახელმწიფოს პატრიოტული და თავის ქვეყანაზე მზრუნველი ხელისუფლება ჰყავს, მას დიდი შანსი აქვს არა მარტო გადარჩეს, არამედ ქვეყანა განავითაროს და მოწინავეთა რიგებში ჩადგეს.

ადრეულ საუკუნეებში ამის შესაძლებლობა ნაკლებად იყო. თვით საქართველოს ისტორიაც ამაზე მეტყველებს. მაგ., ქართველ ერს რამდენჯერმე მოუხდა თავგანწირული ბრძოლა გადარჩენისათვის. ავიღოთ თუნდაც თემურ ლენგისა (XIVს.) და შაჰ-აბას I-ის (XVII ს.) შემოსევები, როცა მხოლოდ ბრძოლითა და იარაღით გახდა შესაძლებელი გადარჩენა, ქრისტიანობის შენარჩუნება. სხვა შემთხვევებში, ჩვენი წინაპრები მოქნილ დიპლომატიას იყენებდნენ და სწორედ ამან შეუწყო ხელი თვითმყოფადობისა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას.

პოლიტიკის კანონები თავისი ძირითადი ასპექტით არც დღეს არ შეცვლილა, ამიტომ ისტორიის გაკვეთილებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მით უფრო, რომ ისტორიული ფსევდომორფოზები (შეცდომები) ნაკლებ დამაჯერებლად გამოიყურება. ვფიქრობთ, ყველა მოვლენას თავისი ობიექტური კანონზომიერება განსაზღვრავს. იმ დროს, როცა ფაშისტური დიქტატურა იყო გერმანიაში, რასაც შედეგად მოჰყვა მიუნხენის გარიგება და მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი, ფაშიზმი ლოკალურ იტალიურ ან გერმანულ მოვლენას კი არ წარმოადგენდა, არამედ დასავლეთის ქვეყნების უმეტესობაში იყო წარმოდგენილი: გავიხსენოთ თუნდაც ფრანკო ესპანეთში, სალაზარი პორტუგალიაში, ხორტი უნგრეთში, ანტონესკუ და კორდენაუ რუმინეთში. თვით საფრანგეთშიც კი იყო ფაშისტური ორგანიზაციები: „ასკიონ ფრანსეზი“ და „ცეცხლოვანი ჯვრები“. ასე, რომ ყველა დიდი მოვლენა, რაოდენ მიუღებელიც არ უნდა იყოს, თავისი ეპოქის პროდუქტია და მხოლოდ იმას ქმნის, რაც მის პოტენციურ შესაძლებლობებშია მოცემული [1:32].

სოციალისტური იდეებიც ეპოქის პროდუქტი იყო და ასევე პოპულარული იყო XX საუკუნის 20-იანი წლების ევროპაში. საბჭოთა კავშირში კი საერთოდ კომუნისტური დიქტატურა იყო წარმოდგენილი. ბუნებრივია ჩვენ მიერ ნახსენები მიუნხენის მოვლენებიც ობიექტურ ისტორიულ კანონზომიერებას წარმოადგენდა და მისი ზედაპირული ხედვა არამეცნიერულია. ისტორია შემთხვევითი ფაქტების გროვა კი არ არის, არამედ აზრიანი პროცესია. ეს არაჩვეულებრივი სიმაღლიდან ესმოდა ჰეგელს. თვით ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალებაშიც კი მან ლოგიკა დაინახა: „ალექსანდრეს ბედმა გაუღიმა, რომ დროზე მოკვდა. „ბედი“ შეიძლება ვუწოდოთ, მაგრამ ეს უფრო აუცილებ-

ლობა გახლდათ იმისათვის, რომ შემდგომ კაცობრიობას მარადიულ ჭაბუკად შერჩენოდა, იგი ადრე უნდა გარდაცვლილიყო... როგორც აქილევსით იწყება ბერძნული სამყარო, ისე ალექსანდრეთი მთავრდება და ეს ორი ჭაბუკი არა მარტო უმშვენიერეს სანახაობას წარმოადგენდნენ თავად, არამედ ამავე დროს ბერძნული არსების სავსებით განსრულებულსა და მზა სურათსაც იძლევიან. ალექსანდრემ თავისი საქმე დაამთავრა და თავისი სახე განასრულა. ასე, რომ მსოფლიოს მან ერთ-ერთი მშვენიერი სანახაობა დაუტოვა“ [2:160-161]. ამით არაჩვეულებრივი სიმაღლიდანაა ნათქვამი, რომ ისტორია შეცდომებს არ უშვებს. შეიძლება ვისაუბროთ ცალკეული პიროვნებების შეცდომებზე, მაგრამ თავად ისტორიის ლოგიკა უტყუარია, მას ღრმა მიზეზშედეგობრივი კავშირები აქვს. მცდარია პოსტმოდერნისტებისა და კონსტრუქტივისტთა შეხედულებები იმის შესახებ, რომ ესა თუ ის ტექსტები (ისტორიული ტექსტები) ამა თუ იმ ეპოქის ინტერპრეტაციები და მეტამონათხრობებია. ეს ასეც რომ იყოს, ფაქტებს ვერსად წაუხვალ, ფაქტია მთავარი და არა აღქმა. ფაქტები კი სამწუხაროდ დიდი ფრანგი მხედართმთავრისა და იმპერატორის, ნაპოლეონ ბონაპარტის სიტყვების სიმართლეზე მიუთითებს: „დიდი ბატალიონები ყოველთვის მართლები არიან“. ამიტომ შევეცადოთ გადავავლოთ თვალი „მიუნხენის“, როგორც ისტორიის ზოგადობის დინამიკას, რათა უკეთ დავრწმუნდეთ საფრანგეთის იმპერატორის სიტყვების ჭეშმარიტებაში.

1938 წლის 28-30 სექტემბერს გერმანიის ქალაქ მიუნხენში გარიგება შედგა, რომლის თანახმადაც დაკმაყოფილებულ იქნა ნაცისტური გერმანიის მოთხოვნა: ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქი გადასცემოდა გერმანიას და დაცლილიყო არაგერმანელი მოსახლეობისაგან. ლონდონში ჰესტონის აეროპორტში ჩაფრენილ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ნევილ ჩემბერლენს უამრავი ხალხი მიეგება, მან ფურცლები ააფრიალა და ინგლისურ საზოგადოებას ამცნო „მე თქვენ მშვიდობა ჩამოგიტანეთ“. ამ გარიგების ერთ-ერთი გულმხურვალე მხარდამჭერი გახლდათ ასევე საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ედუარდ დალადიე, რომელიც პასუხისმგებლობას იღებდა განვითარებულ მოვლენებზე. მაშინდელ ბრიტანულ პოლიტიკურ ელიტას ყურადღებით რომ მოესმინა უინსტონ ჩერჩილის გამოსვლა 1938 წლის 9 მაისს მანჩესტერში „ფრიტრეიდ ჰოლში“, საქმე აქამდე არ მივიდოდა, მაგრამ ხშირად ისტორიაშიც კი „გზა მაშინ გამოჩნდება, როცა ურემი გადაბრუნდება“. პიროვნების როლი ისტორიაში იმითაც განისაზღვრება, რომ იგი „ამ გზას“ თავიდანვე ხედავს, მაგრამ ზოგჯერ საზოგადოება და პოლიტიკური ელიტა ისეა აჟიტირებული, რომ მათი დარწმუნება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება.

დღეს ხელისგულზე დევს უტყუარი ფაქტი: „დაყვავების პოლიტიკა“ მცდარი პოლიტიკა იყო. ჩერჩილის გარდა, ბრიტანეთში იმ დროს ამას კიდევ მიხვდა 100-ზე, 1/5-ზე მეტი დეპუტატი 481-დან [3:354], მაგრამ მთლიანობაში მიუნხენის კურსი მოწონებულ იქნა. ჩერჩილმა იგი ასე შეაფასა: „ბრიტანეთს ჰქონდა არჩევანი ომსა და სირცხვილს შორის, ჩვენ სირცხვილი ავირჩიეთ და მივიღებთ ომსაც“ [3:355]. ეს სიტყვები ზუსტად ახდა. დიახ, ომი მიიღო ბრიტანეთმაც და მთელმა მსოფლიომაც. მიუნხენის სამარცხვინო გარიგებიდან სულ ცოტაც და საუკუნე გავა. კიდევ ბევრს იმსჯელებენ ამ

ისტორიულ მოვლენაზე. XX საუკუნის უდიდესი სახელმწიფო მოღვაწის, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის სიმართლე მარტო იმაში კი არ იყო, რომ მან თავიდანვე გათვალა „დაყვავების პოლიტიკის“ შედეგები. ჩერჩილი იმასაც ხვდებოდა, რომ გერმანიის მაშინდელმა ლიდერმა თავიდანვე წაგებული თამაში წამოიწყო და ისტორიას მისთვის ვერდიქტი ჰქონდა გამოტანილი. ჩერჩილმა ისიც კი გათვალა, რომ, საბჭოთა კავშირთან შედარებით, დასავლეთს, დემოკრატიულ სამყაროს მორალური უპირატესობა ექნებოდა.

ამჯერად ჩვენს მიზნებში მიუნხენის გარიგების დეტალური ანალიზი არ შედის, ვიტყვით მხოლოდ, რომ დემოკრატიული სამყაროს წარმომადგენლებმა მორალური მოტივაციით ცუდი შედეგები მიიღეს (მორალურ მოტივაციაში, ცხადია პატარა დათმობას ვგულისხმობთ ჩეხოსლოვაკიის სახით, დიდი ომის თავიდან ასაცილებლად). ბუნებრივია, ეს მათ არასწორ მიდგომაზე მეტყველებს, მაგრამ მთელი კაცობრიობის ისტორია განა გარიგებებით არ არის სავსე? უბრალოდ მიუნხენი საყოველთაოდ ცნობილი, გახმაურებული ფაქტია. მაგრამ, იგივე „მიუნხენი“ სამწუხაროდ ყოველთვის წარმოადგენდა მსოფლიო პოლიტიკის უზენაეს კანონს. უბრალოდ თუ შედეგები ასე თუ ისე ნორმალური იყო, არ ხმაურობდა. პოლიტიკის ამგვარი კანონები არაჩვეულებრივი სიმაღლით ესმოდა მაკიაველს. ამიტომ იყო, რომ იგი შედეგს პოლიტიკური შეფასების უმაღლეს ფაქტორად მიიჩნევდა: „დაე მთავარმა მხოლოდ გამარჯვებისა და ძალაუფლების შენარჩუნებისათვის იბრძოლოს და საშუალებებს, რომლებითაც ამ მიზანს აღწევენ ყოველთვის პატიოსნად და ქება - დიდების ღირსად შერაცხავენ, რადგან ბრბოს მხოლოდ საქმის გარეგანი არსი და საბოლოო შედეგი ხიბლავს“ [4:100]. ეს საკმაოდ ხისტად ნათქვამი სენტენცია მსოფლიო პოლიტიკოსთა სამოქმედო პროგრამა იყო (ჩვენი აზრით) და ასეა დღესაც, მაგრამ თუ ცუდი შედეგი დაიდო, როგორც ეს მიუნხენის გარიგების შემთხვევაში მოხდა, მაშინ იგი განკითხვის ობიექტი ხდება. მიუნხენის გარიგებას მოლოტოვ - რიბენტროპის პაქტი მოჰყვა ერთ წელიწადში და გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა პოლონეთი და ბალტიისპირეთი გაინაწილეს. მაგრამ, გავიხსენოთ როდის მოეწყო მისი პოლიტიკურ - მორალისტური თუ სამართლებრივი შეფასება – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. მანამდე მისი საიდუმლო პუნქტებიც კი არ გამომზეურებულა (მხედველობაში გვაქვს გორბაჩოვის პერესტროიკამდე პერიოდი). თანაც მიუნხენის გარიგებასა და მოლოტოვ - რიბენტროპის პაქტს შორის ერთი მნიშვნელოვანი სხვაობაა: პირველი წაახალისა დემოკრატიული სახელმწიფოების – ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა, მეორეს კი ორივე ტოტალიტარული სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები აწერდნენ ხელს. კიდევ იყო ერთი სხვაობა: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუნხენის გარიგებას საფუძვლად მორალური მოტივაცია ედო, მაგრამ მივიღეთ აბსოლუტურად ამორალური შედეგი, მეორე შემთხვევა კი იმთავითვე წმინდა პოლიტიკური ნარატივი – გავლენის სფეროთა გადანაწილება იყო. მთლიანობაში კი ორივემ ერთად განსაზღვრა მეორე მსოფლიო ომის გაჩაღება, სხვა ფაქტორებთან ერთად.

როდესაც მეორე მსოფლიო ომი დასრულდა, ეს არავის ახსოვდა. იალტა - პოტსდამის შეთანხმების შედეგად მსოფლიო გავლენის სფეროებად იქნა გადანაწილებული. საფუძველი ჩაეყარა ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის არსებობას. „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ კი აშშ-ის დომინირების ეპოქა დადგა. ბირთვული დიპლომატიის აღიარებული წარმომადგენელი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, რიჩარდ ნიქსონისა და ჯერალდ ფორდის პრეზიდენტობის დროს, ჰენრი კისინჯერი წიგნში „მსოფლიო წერიგი“ წერდა: „სანამ აშშ XXI საუკუნეში საკუთარი ომების გაკვეთილებს იკვლევს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აქამდე არც ერთ დიდ სახელმწიფოს თავისი სტრატეგიული მისწრაფებები იმედთან არ დაუკავშირებია, რომ კაცობრიობის მდგომარეობის გაუმჯობესება შესძლებოდა. ეს სურვილები განსაკუთრებული მისიაა, როდესაც სახელმწიფო ომის მიზნად მხოლოდ მტრების დასჯას კი არ ისახავს, არამედ მათი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებასაც; მას გამარჯვება სჭირდება არა ჰეგემონიისათვის, არამედ თავისუფლების გასავრცელებლად“ [5:467].

კისინჯერი რეალპოლიტიკის აღიარებული წარმომადგენელი იყო, ის არასოდეს იმყოფებოდა ილუზიების ტყვეობაში, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, მისი ინტერესების დამცველი პატრიოტი იყო. ვერ დავეთანხმებით დიდ დიპლომატს იმაში, რომ აშშ-ის გამარჯვება ჰეგემონიისთვის კი არა თავისუფლების გასავრცელებლად სჭირდება. აშშ ყოველთვის ჰეგემონიისთვის იბრძოდა და ამაში მიუღებელს ვერაფერს ვხედავთ, მაგრამ მისი ქმედება თავისუფლების გავრცელებასაც უწყობდა ხელს თუ ის სახელმწიფო, სადაც ის შედიოდა, მას წინააღმდეგობას არ უწევდა. სადაც წინააღმდეგობა ხვდებოდა, შევხედოთ სახელმწიფოებს – ერაყი, სირია, ავღანეთი, ვიეტნამი, ლიბია, არის იქ დემოკრატიული რეჟიმები? რა თქმა უნდა არა და ამაში დამნაშავე მარტო ის სახელმწიფოები კი არაა, სადაც აშშ-მა თავისი გავლენა ვერ მოიპოვა, არამედ თავად აშშ-იც, რადგან ერთი სტანდარტით მიდგომა ყველასთან არ შეიძლება. „განსხვავებულ ენაზე“ საუბარი აშშ-საც სჭირდება, რასაც ის ხშირად ვერ ახერხებდა. ეს თავად კისინჯერსაც კარგად ესმოდა. „შიგა ამერიკულ დებატებს ხშირად რეალიზმსა და იდეალიზმს შორის დებატებად წარმოგიდგენენ, აშშ დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად შეიძლება ერთ დღესაც მიხვდეს, რომ თუ ორივე მოდუსში ვერ იმოქმედებს, შეიძლება ვერც ერთში ვეღარ შეასრულოს თავისი ამოცანა“ [5:468].

აშშ-ის ერთპიროვნულმა დომინირებამ დიდხანს ვერ გაძლო. ჯერჯერობით ის ისევ ყველაზე ძლიერი ზესახელმწიფოა, დოლარი ყველაზე კონკურენტუნარიანი ვალუტის ფუნქციას ინარჩუნებს პლანეტის მასშტაბით, მაგრამ მისი დაღმავალი ციკლი თვალშისაცემია. შეიქმნა და იქმნება დასავლეთის ალტერნატიული ინტეგრაციული მოდელები, მაგ., „ბრიქსში“ დედოლარიზაციაზეც დაიწყო საუბრები. ყოველივე ამას კი ბიძგი მიუნხენმა მისცა 2007 წლის 10 თებერვალს, როდესაც უსაფრთხოების კონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი გამოვიდა და მკაცრად გააკრიტიკა ერთპოლარული მსოფლიოს არსებობა აშშ-ის დომინანტობით. მაშინ ზოგიერთმა პოლიტიკურმა ექსპერტმა, მათ შორის საქართველოშიც, მისი გამოსვლა „ორთქლის გამოშვებად“ შეაფასა, შიგა აუდიტორიის (ანუ რუსეთის მოსახლეობის) დასაშოშმინებლად. ასეთმა არასერი-

ოზულმა დამოკიდებულებამ საერთაშორისო თანამეგობრობას კარგი არაფერი მოუტანა, საქართველო კი ძალზე დააზარალა. საერთოდ, რუსეთის საფრთხისადმი საქართველოს დამოკიდებულება, ჩვენი აზრით, არასერიოზული და ზედაპირული იყო. თანამედროვე ეტაპზე რუსეთის პრობლემის მიმართ აშკარად ვლინდება პრაგმატული დამოკიდებულება, რამაც მოიტანა კიდეც დადებითი შედეგი. ქვეყანა სტაბილურად ვითარდება. არის რთული გამოწვევები, მაგრამ მთლიანობაში ვითარება სტაბილურია. რუსეთის პრეზიდენტის 2007 წლის 10 თებერვალს სიტყვით გამოსვლას „საქმე“ერთ წელიწადში მოჰყვა, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ - საქართველოს ომის სახით, 2014 წელს რუსეთმა მოახდინა ყირიმის ანექსია და კონფლიქტები გაჩაღდა აღმოსავლეთ უკრაინის დონეცკისა და ლუგანსკის რაიონებში. 2022 წლის 24 თებერვალს კი რუსეთი უკრაინაში შეიჭრა უკვე რეგულარული არმიით. ომი დღემდე მიმდინარეობს. დასავლეთი, განსაკუთრებით აშშ უკრაინას აწვდის იარაღს და, რაც მთავარია, სადაზვერვო მონაცემებს. წინააღმდეგ შემთხვევაში უკრაინის სრული კატასტროფა გარდაუვალი იქნებოდა, თუმცა. მიუხედავად ამისა, უკრაინას ფრონტის ხაზზე რთული ვითარება აქვს, ოკუპირებულია ქვეყნის 20%-ზე მეტი, ორივე მხრიდან დაღუპულია ასეულ ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი, დიდია მსხვერპლი უკრაინის მშვიდობიან მოქალაქეებში, მას მილიონობით ლტოლვილი ჰყავს მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას, განადგურებულია ქვეყნის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი. რამ გამოიწვია ეს? იყო თუ არა ამ საშინელი ომის თავიდან აცილება შესაძლებლობა? ამ კითხვებს საბოლოო პასუხს ისტორია გასცემს, მაგრამ რამდენადაც ფაქტები ყველაზე მნიშვნელოვანია და უკრაინის ომი უკვე შემდგარი ფაქტია, გარკვეული დასკვნების შესაძლებლობა „მიუნხენის“ კონტექსტში შეიძლება.

ცნობილი ამერიკელი მკვლევარი, ნეორეალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ჯონ მირშაიმერი მიიჩნევს, რომ უკრაინის ომის გაჩაღებაში წვლილი თანაბრად მიუძღვით როგორც რუსეთს, ისე აშშ-ს. მისი აზრით, ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ომი რეალობა ყოფილიყო [6]. ყველაზე ნიშანდობლივი კი კოლუმბიის უნივერსიტეტის მდგრადი განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის – ჯეფრი საქსის გამოსვლა იყო ევროპარლამენტში 2025 წლის 21 თებერვალს. მან ძალზე ღრმა ანალიზი გააკეთა, მიუთითა იმ ეიფორიაზე, რომელშიც დასავლეთი აღმოჩნდა „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ. ეს იყო თავბრუდამხვევი წარმატება. აშშ-მა მიიჩნია, რომ იგი უპირობო ლიდერი უნდა ყოფილიყო პლანეტის ნებისმიერ კუთხეში. ამერიკელმა პოლიტოლოგმა და მოღვაწემ მოიხსენია ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსი და მეცნიერი ზბიგნევ ბჟეზინსკი და მისი მთავარი წიგნი „დიდი საჭადრაკო დაფა“ და აღნიშნა, რომ იგი ყველაფერში შეცდა. კერძოდ მიუთითა, რომ ბჟეზინსკის აზრით, რუსეთი ვერასოდეს დაუახლოვდებოდა ჩინეთსა და ირანს, შესაბამისად მას მხოლოდ ერთი გამოსავალი ჰქონდა, ევროპას დაახლოებოდა. ჯეფრი საქსმა მიუთითა აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სურვილებზე მაქსიმალურად დაესუსტებინა რუსეთი, გაიხსენა ისტორია, თუ როგორ ცდილობდა გრაფი ჰალმერსტონი რუსეთის შავი ზღვის აუზიდან განდევნას და ა.შ. ყველაფერმა ამან ამერიკელი მოაზროვნის

აზრით, კაცობრიობა და განსაკუთრებით დასავლეთი ჩიხში შეიყვანა [7].

აღნიშნულ მოვლენათა დამაგვირგვინებელ აკორდად მიგვაჩნია შეხვედრა თეთრ სახლში, ოვალურ კაბინეტში, 2025 წლის 28 თებერვალს, სადაც მთელმა მსოფლიომ იხილა თუ როგორ ესაუბრებოდნენ აშშ-ის პოლიტიკური ხელმძღვანელები - პრეზიდენტი დონალდ ტრამპი და სახელმწიფო მდივანი ჯეი დი ვენსი უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის. მსგავსი რამ პირდაპირ ეთერში კაცობრიობამ პირველად იხილა. კულისებს მიღმა, ეთერს მიღმა უარესიც მომხდარა და ხდება, მაგრამ პირდაპირ ეთერში ამის წარმოდგენა ძნელი იყო. აშშ-ის პრეზიდენტმა ზელენსკის უთხრა, რომ „ამ მდგომარეობაში თქვენ თვითონ ჩაიგდეთ თავი“. ჩვენი აზრით, ეს იყო ყველაზე ნიშანდობლივი ფრაზა, ფრაზა „მიუნხენის პოლიტიკური ავანსცენიდან“, ფრაზა „მიუნხენის ახალი გარიგებიდან“. უნებლიედ გაგახსენდება მაიერის „ციკლური თეორია“ ისტორიის ციკლური განმეორების შესახებ ტრანსფორმირებული რეალობით. უნივერსალური თეორია არ არსებობს და არც იარსებებს, მაგრამ იარსებებს პოლიტიკის უცვლელი კანონები, რომელსაც თუ ფეხს არ აუწყობ ყოველთვის დამარცხდები.

ტრამპმა ზელენსკის კიდევ ბევრი რამ უთხრა: – „შენ კოზირები არ გაქვს და პირობებს ვერ წამოაყენებ“, რაზედაც პრეზიდენტმა ზელენსკიმ არაკორექტულად უპასუხა „მე ბანქოს არ ვთამაშობ“, პრეზიდენტმა ტრამპმა კი შეუტრიალა: „შენ ბანქოს თამაშობ და კოზირები აქ გაქვს“. სწორედ ეს არის „მიუნხენის სიმაღლიდან“ თუ „სიდაბლიდან“ ნათქვამი სიტყვები, მაგრამ პოლიტიკოსის „პოლიტიკური სიმართლით“ ნათქვამი სიტყვები [8].

მართალია ეს შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა, მაგრამ ყველა „ხიდი არ დაწვა- რა“ და ითქვა, რომ კონტაქტები გაგრძელდებოდა. შემდეგ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა და რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ორ საათზე მეტხანს ტელეფონით ისაუბრეს. საუბრის შინაარსი მნიშვნელოვანწილად უცნობია, მაგრამ ძნელი გამოსაცნობი არ არის თუ რაზე ისაუბრებდნენ ორი უდიდესი სახელმწიფოს მეთაურები. შედეგს კი ნათლად ვხედავთ. საუდის არაბეთში კვლავ შეხვდნენ რუსეთისა და აშშ-ის დელეგაციები, არაბულ სახელმწიფოში უკრაინის დელეგაციაც იქნება წარმოდგენილი, ოღონდ აშშ-ის დელეგაცია რუსეთისა და უკრაინის დელეგაციებს სხვადასხვა ოთახში შეხვდება. უკრაინელები „იმ სხვა“ ოთახში დაელოდებიან ვერდიქტს, ზუსტად ისე, როგორც 87 წლის წინ ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია ელოდა მიუნხენში განაჩენს „სუდეტის ოლქის“ შესახებ. კაცობრიობა კვლავ „ახალი მიუნხენის“ მოლოდინშია. მომავალი მსოფლიო წესრიგის პარადიგმაც უცვლელია. თუ უკრაინა არ დაემორჩილება განაჩენს, მიიღებს უფრო უარესს. აშშ-ის ამჟამინდელი პოლიტიკა, ჩვენი აზრით, უაღრესად პრაგმატულია და ვფიქრობთ, იგი შედეგს მოიტანს, მაგრამ საშუალო და პატარა სახელმწიფოებმა ამ მოვლენებიდან კიდევ ერთხელ უნდა გამოიტანოს დასკვნები. საგარეო პოლიტიკაში მთავარი ინტერესებია. ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფა კი მხოლოდ ადეკვატური პოლიტიკის წარმოებით მიიღწევა, რეალისტური პოლიტიკის გატარებით ხდება შესაძლებელი, სადაც ქცევის მოტივი კი არ განსაზღვრავს მორალს, არამედ მიღებული შედეგი.

დასკვნა

გერმანიის ქალაქი მიუნხენი ყოველთვის წარმოადგენდა პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრს. ამჟამადაც მიუნხენში ყოველწლიურად იმართება უსაფრთხოების კონფერენციები, სადაც ევროატლანტიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავენ. ამ ქალაქს ისტორიული მეხსიერებით ბევრი რამ ახსოვს. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1938 წლის 28-30 სექტემბრის მიუნხენის გარიგება, როცა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ნევილ ჩემბერლენი, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ედუარდ დალადიე, გერმანიის რაიხსკანცლერი და რაიხსფიურერი ადოლფ ჰიტლერი და იტალიის პრემიერ-მინისტრი ბენიტო მუსოლინი შეთახმდნენ, რომ ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქი გერმანიას გადასცემოდა. ამას გერმანია კატეგორიულად ითხოვდა იმ მოტივაციით, რომ იქ გერმანულენოვანი მოსახლეობის შევიწროვება ხდებოდა. ამ გარიგებას თავად ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია არ დაასწრეს და ისინი ვერდიქტს მეზობელ ოთახში ელოდნენ.

შეიცვალა თუ არა რაიმე დღეს? ჩვენი აზრით, შეიცვალა ფორმები, ტაქტიკა, პოლიტიკის კანონები კი უცვლელი დარჩა და დიდი სახელმწიფოები კვლავაც განსაზღვრავს საერთაშორისო პოლიტიკის მთავარ ვექტორებს. კვლავაც ხდება საშუალო და პატარა ქვეყნების გამოყენება დიდების მხრიდან მათი ინტერესების რეალიზაციის გზაზე. ხშირად ამგვარი ქვეყნები წარმოდგენილია, როგორც „პროქსი“ ქვეყნები და ზესახელმწიფოების საბრძოლო პოლიგონი.

2007 წლის 10 თებერვალს მიუნხენში რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი სიტყვით გამოვიდა და მკაცრად გააკრიტიკა ერთპოლუსიანი მსოფლიოს არსებობა აშშ-ის დომინანტობით. მაშინ ეს გამოსვლა სათანადოდ არ იქნა შეფასებული. ამ გამოსვლისადმი, მათ შორის საქართველოში, ზოგიერთმა პოლიტიკურმა ექსპერტმა ზერელე დამოკიდებულება გამოავლინა. შედეგი კი მძიმე დადგა. რუსეთმა 2008 წელს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სრული ოკუპაცია, ხოლო 2014 წელს ყირიმის სრული ანექსია მოახდინა და კონფლიქტები გააჩაღა აღმოსავლეთ უკრაინაში, განსაკუთრებით დონბასში, ხოლო 2022 წლის 24 თებერვალს რეგულარული არმიით უკრაინაში შეიჭრა. ომი დღემდე მიმდინარეობს. ოკუპირებულია ქვეყნის ოცი პროცენტი, დაღუპულია ასელ ათასობით ადამიანი, მათ შორის მშვიდობიანი მოქალაქეები, არის მილიონობით უკრაინელი ლტოლვილი.

ამჟამად ამ ომის დასრულებას აქტიურად ცდილობს აშშ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, მთლიანად აშშ-ის პოლიტიკური ხელმძღვანელობაა ჩართული ამ პროცესში, მაგრამ პროცესი რთულად მიმდინარეობს. უკრაინას აშკარად მიანიშნეს, რომ დათმობაზე უნდა წავიდეს. ამჟამად კაცობრიობა „ახალი მიუნხენის“ მოლოდინშია, რომლის შემდეგაც, ჩვენი აზრით, მოხდება ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება, ოღონდ „ახალი მიუნხენი“, ვფიქრობთ, გაცილებით კორექტული ფორმით იქნება გაფორმებული, ვიდრე ეს 87 წლის წინ მოხდა.

ლიტერატურა

1. Menteshashvili, I. (1998). *On objective regularity and alternative in history*. Scientific-Methodological Journal *History*, Tbilisi, 28–35.
2. Hegel, F. (2001). *Philosophy of history*. Tbilisi.
3. Svanadze, L. (2007). *Winston Churchill*. Kutaisi.
4. Machiavelli, N. (2015). *The prince*. Tbilisi.
5. Kissinger, H. (2020). *World order*. Tbilisi.
6. Euronews. (2022, February 10). *Putin warns of 'appropriate retaliatory military-technical measures' if his demands aren't met* [Video]. YouTube. https://www.youtube.com/watch?v=qciVozNtCDM
7. DW News. (2022, February 21). *Putin recognises breakaway Ukraine regions as independent* [Video]. YouTube. https://www.youtube.com/watch?v=u4c-YRPXDoM
8. Sky News. (2022, February 24). *Vladimir Putin declares war on Ukraine* [Video]. YouTube. https://www.youtube.com/watch?v=7pxbGjvcdyY

UDC 327:321.01
SCOPUS CODE 3320
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-2-452-462

Humanity in Anticipation of the „New Munich" and the Paradigms of the Future World Orde

Karlo Kopaliani — Department of Social science, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75, M. Kostava str.
E-mail: karlo.kopaliani@yahoo.com

Zurab Kvetenadze — Department of Politics and International Relations, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: kvetenadzezurabi07@gtu.ge

Reviewers:

E. Gvenetadze, Professor, Faculty of Law and International Relations, Georgian Technical University, Doctor of History
E-mail: gvenetadzeedisheri07@gtu.ge

L. Osidze, Associate Professor, Faculty of Law and International Relations, Georgian Technical University, Ph.D. in Social Sciences
E-mail: osidzelevani07@gtu.ge

Abstract. At present, the complex processes taking place in the world clearly indicate that the laws of politics remain unchanged, and small countries are still forced to take into account the centers of powerful forces or even completely submit to their decisions. Only the forms and tactics have changed. This is also evidenced by the rich historical past. On September 28–30, 1938, an agreement was concluded in the German city of Munich, according to

which the Sudeten region of Czechoslovakia was handed over to Nazi Germany. In addition to Hitler and Mussolini, the meeting was attended by British Prime Minister Neville Chamberlain (the initiator of the Munich Agreement) and French Prime Minister Édouard Daladier. This was the so-called policy of „appeasement" toward Germany, which ended in complete failure and led to the outbreak of World War II. From the very beginning, the future British Prime Minister Winston Churchill distanced himself from this policy.

The city of Munich has repeatedly become the epicenter of major politics. On February 10, 2007, Russian President Vladimir Putin delivered his famous speech in Munich, in which he sharply criticized the existence of a unipolar world under U.S. hegemony. At the time, this speech was not properly assessed, which later led to serious consequences, culminating in the war in Ukraine. In our opinion, the end of this war will lead to the formation of a new world order, the outlines of which are already emerging today. We believe that this will be a multipolar world, but at the same time, such a reality will be achieved through a "new Munich" agreement

Keywords: Agreement; Domination; Hegemon; Humanity; Ideas; International politics; Morality; Multipolar; Unipolar.

განხილვის თარიღი 14.01.2025
შემოსვლის თარიღი 05.02.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.06.2025